შიკრიკი

გაზეთი თავის მიზნათ ისახავს—ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის კლასიურ ინტერესების დაცვას.

ქუთაისი

კვირ , 16 ივლისი.

1906

წელიწადი პირველი.

ცალკე № 3 კაპ.

თბილისში გაზ. „ახალი ცხოვრება“ დახურეს.—სოფელ ზუნინში გლეხები მებატონეების ამულამულევას ანადგურებენ.—სახელმწიფო სათათბიროს წევრ კოდრაჩენკო დააპატიმრეს.—კიევში პოგრომს მოელიან.—პეტერბურგში პოლიტიკური მდგომარეობის გამოსარკვევათ ყველა პარტიების და ორგანიზაციებს თათბირი აქვთ.

№ 7. ყოველ-დღიური გაზეთი № 7.

მიტროფანე ლაღიძემ, გადასწყვიტა თავის ცნობილ ქარხანას უფრო მეტი და ფართო სამრეწველო ხასიათი მისცეს, ამ მიზნით იგი აარსებს

ამხანაგობას

ხელოვნურად შემზადებული მადნეულის-ხილეულის წყლის, ყინულის ქარხნებისა და ელექტრონის სადგურისას ქ. ქუთაისში.

სახელ-წოდებით „მიტროფანე ლაღიძის და ამხ.“

მიზანი ამ ზემოხსენებული ამხანაგობისა არის:

1. შეიძინოს მიტროფანე ლაღიძისაგან მისი საკუთარი მინერალური-ხილეულის წყლის და ყინულის ქარხნები და ელექტრონის სადგური სრული ინვენტარიით, მასალითა და საქონლით, რაიცა საჭიროა ზემოხსენებული ქარხნების და ელექტრონის სადგურისათვის; შეიძინოს აგრეთვე უფლება ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საიჯარო მიწაზე ლაღიძის მიერ აგებული ქვიტკირის შენობებზე მოიჯარადრის სრული უფლებებით და ფართო ექსპლოატაცია უყოს ზემოხსენებულ სამრეწველო დაწესებულებას.

ოპერაციების გასაფართოებლად და წარმოების გასაადვილებლად ამხანაგობა საჭიროების მიხედვით, ხსნის განყოფილებებს, როგორც ქუთაისში, ისე სხვა ქალაქებსა და ადგილებშიც. ამხანაგობის კაპიტალი (თანხა) ჯერ-ჯერობით განისაზღვრება 70,000 მანეთით, რომელიც დაყოფილია 700 წილათ (პაით) თითეული პაი ღირს 100 მანეთი.

ამხანაგობის დამაარსებელმა თავის პირველ-კრებაზე, რომელიც შესდგა 25 ივნისს 1906 წ. ქუთაისის საურთიერთო ნდობის დარბაზში, ბ. გ. ი. ჭილაძის თავმჯდომარეობით და ნოტარიუსი ბ. ანჯაფარიძის ხელმძღვანელობით განიხილეს ამხანაგობის ხელ-შეკრულების პირობა (წესდება), რომელიც შესდგება სამოცი მუხლისაგან შეასწორეს ზოგიერთი მუხლები და შემდეგ ერთხმად მოწონებულ და მიღებულ იქმნა იქ დამსწრე ქუთაისის ვაჭრების კრებისაგან. კრებამ აირჩია ამხანაგობის დამაარსებელი კომისია, შემდეგ პირებისაგან: გ. ი. ჭილაძე, ფარნა ბეჟანის-ძე გაბუნია, ფილიპე სიმონის ძე ფილიპოვი, რაჟდენ ყარამანის-ძე დათეშიძე, ტ. გველესიანი, ფილიპე ნიკოლოზის-ძე ჩქეიძე, სიმონ იაკობის-ძე თევდორაძე, პეტრე იოსების-ძე გოკიელოვი, ნიკიფორე მოსეს-ძე ჯანელიძე და მიტროფანე ლაღიძე.

ზემოხსენებული ამხანაგობის დამაარსებელი წევრნი სთხოვენ ყველა იმ პირთ, ვისაც რაიმე მონაწილეობის მიღება სურს ხსენებულ ამხანაგობაში კეთილ ინებონ და მობრძანდენ კვირას 16 ივლისს, დილის 10 საათზე სწორეთ 1906 წელს ქუთაისის საურთიერთო ნდობის დარბაზში ამხანაგობის გამგეობის წევრთა ასარჩევათ და საქმეების დასაბოლოებლად.

ვინც მოისურვებს ამხანაგობაში მონაწილეობის მიღებას სრულ ამხანაგათ ანუ მხოლოთ პაის შეძენით, ყოველ-გვარ ცნობებს და ხელ-შეკრულობით პირს მიიღებენ ამხანაგობის დამაარსებელ კომიტეტის ერთ ერთი წევრისაგან, ამხანაგობის დამაარსებელნი და პაის მეჯდველნი პასუხის მგებელნი არიან მხოლოდ და მარტო იმ ფულით, რაც შეტანილი ექმნებათ წილის ფასად. (1—1)

ქუთაისი, 16 ივლისი.

დუმა მეფისაგან მოწვეული მეფისავე ბრძანებით მოისპო. დეპუტატები ისე ვერ დაიშლებოდენ, რომ თავის ამომრჩევლებთან თავი არ გაემართლებინათ, არ ეთქვათ მათთვის, თუ რა ნიადაგზე მოხთა მეფის მთავრობისა და ხალხის წარმომადგენლებს შორის კონფლიკტი; თავის თავი უნდა აღიარებინათ დამნაშავეთ, თუ გრძნობდენ მართლა რამე დანაშაულობას მეფის და მის მთავრობის წინაშე, თუ არა ვალდებულნი იყვენ ეთქვათ ის, რაც მოხდა; ეჩვენებინათ ხალხისთვის ნამდვილი დამნაშავე და ამასთან გზაც, რომელსაც ხალხმა უნდა დაადგეს. მეფის მთავრობის წყალობით მანიფესტი, რომელიც გამოუშვეს ვიბორგში შეკრებილმა დეპუტატებმა, რომელსაც ხელს აწერენ 183 კაცი, ჩვენ ხელთ არ გვაქვს. უნდა ვიფიქროთ ისეთნაირათ არის შედგენილი ის, რომ მთავრობის ხელსაყრელი არაა იმის ხალხში გავრცელება; რომ ასე არ იყოს, მაშინ ჩვენთვის გაუგებარი იქნებოდა; რატომ მთელ რუსეთს არ ამცნო სააგენტომ? რატომ იჭერენ, ვინც მას მოსკოვის ქუჩებზე აკრავს? რატომ ხურავენ გაზეთებს მისი დაბეჭვდისათვის? რატომ აძლევს იმას ფრანგული გაზეთი „დებატი“ იმდენათ დიდ მნიშვნელობას, რომ მის გავრცელებას ხალხში ადვილათ შესაძლოა რევოლიუციონურ მოძრაობა მოყვესო! მანიფესტს რომ რევოლიუციონური სული უნდა ჰქონდეს, ამას მოწმობს პეტერბურგიდან მოსული კერძო დეპეშა, ვიბორგიდან გამოგზავნილი, სადაც ნათქვამია, რომ მოწოდება ურჩევს ხალხს: არ მისცეთ მეფის მთავრობას გადასახადები და სალდათი. ამ ორ ძალაზეა დამყარებული მთელი ძველი რეჟიმი, გამოაცალეთ მას ეს საფუძველი, ის დაირღვევა თავის თავათ. ამ მანიფესტის შესახებ ჯერ მეტის თქმა ჩვენ არ შეგვიძლია.

სულ სხვა სული უდის იმ მანიფესტს, რომელიც სტახოვიჩმა, გრაფმა გეიდენმა და თავადმა ლვოვმა გამოსცეს. ამის შინაარსი მოკლეთ დეპეშებმაც გადმოგვცეს, ამის გაკვრის ნებას ქუჩებშიც მიცემენ, ამის დაბეჭვდისათვის გაზეთები მადლობასაც მიიღებენ და ამიტომ არის რომ მეფის მთავრობის ლაქია ბ. სუვორინი ბეჭდავს თავის გაზეთში. „Новое-Время“-ში. რისთვის მოსწონს ის მთავრობას? პირველათ ყოვლისა მანიფესტის შემდგენლები რევერანსებს აკეთებენ მეფის წინაშე უსიტყვოთ ემორჩილებიან მეფის ნებას, აცხადებენ ისინი თავის ამომრჩეველებისადმი, რადგან სრული დარწმუნებულნი არიან, რომ არეულობა, რომელიც ახლა რუსეთში სუფევს, ძირს უთხრის მეფის უფლებას ჩვენ სრულიათ ვეთანხმებით გრაფებს და თავადებს, რომ დღევანდელი რევოლიუცია ძირს უთხრის მეფის და თავადების უფლებასაც. მაგრამ რატომ თავის თავს არ კითხავენ ის ვაჟბატონები, რამ გამოიწვია ეგ ძლევამოსილი რევოლიუცია? რატომ არ წარმოუდგენიათ მათი და მეფის მთავრობის შემწეობით რომ 140 მილიონი ხალხი მათ ყმობაში, მათ სამსახურში ლევდა და ლევს სულს; 140 მილიონის ოფლით და სისხლით ნაშოვნი 2 მილიარდი ვის ჯიბეში გადადის, ვინ სარგებლობს იმით, ვინ ნებივრობს? სწორეთ ისინი ყველანი. ხელი ხელს ბანსო და ორივე პირსაო, სწორეთ ამაზე ითქმის. მშვიდობიანი პარტიის მეთაურები შემდეგ მოუწოდებენ ამომრჩევლებს დამშვიდდენ და წინაამდეგობა გაუწიონ ყოველივე პლანებს, რომელიც მთავრობის მხრით ძალადობას გამოიწვევს, დაუძლურებასა და დაღუპვამდის მიიყვანს რუსეთს კარგათ ჩავუკვირდით ამ ხელიხელ საგოგმანებელ სიტყვებს. „დამშვიდდენ და წინაამდეგობა გაუწიონ ყოველივე ძალადობას, ესე იგი მეფის მთავრობამ რაც უნდა ჩაიდინოს, იმას ყველაფერი აპატიეთ, იმას წინაამდეგობა არ გაუწიოთ, როცა კიშინიოვისთანა, გომელისთანა და ბელოსტოკისთანა „პოგრომებს“ მოაწყობს. მეფის მთავრობას ხმა არ გაცეთ, როცა უდანაშაულო ხალხის სარჩო-საბადებელს და სახლკარს წვავს: როცა მცირე წლოვანთ ახჩობს, ბებრებს კლავს, ზურგს მათრახით უხურებს ყველას და ყოველგან, ციმბირში და სახალინში აგზავნის ათასობით ვინ დაიწყო პირველათ ძალადობა, ხალხმა თუ მეფის მთავრობამ“ კარგათ იციან გეიდენებმა და სტახოვიჩებმა, ჩვენი გახსენება საჭირო როდია. რუსეთს დაღუპამდის მიიყვანს ძალადობაო, რუსეთი მიიყვანა დაღუპამდის ხალხის ძალადობამ როდი მეფის მთავრობამ, ახლა დადგა დრო როცა მეფის მთავრობამ და მის მხარის დამჭერი თავადები, უნდა მივიდენ დაღუპამდის კარგათ გვესმის, როცა გეიდენი ლაპარაკობს რუსეთის დაღუპვაზე, რომელი რუსეთი აქვს იმას სახეში; ის რუსეთი არის ძველი რუსეთი. ის რუსეთი არის ფეოდალური რუსეთი ის უნდა დაიღუპოს, ისტორიამ შებრალება არ იცის და მის ნანგრევებზე ახალი რუსეთი აშენდება.

ასეთი მოწოდება მხოლოთ და მხოლოთ იმათ მოეწონებათ, ვინც ძალადობას ჩადის, ვინც ყვლეფავს ხალხს, ვინც ქურდავს ხაზინას, ვინც მეფის ნასუფრალით რჩება, ვინც ჯაშუშობს და ყველა ამათ მგზავსებს. ასეთ ხულიგანურ განცხადებებს მარტო ხულიგანებში ექნება გასავალი. დღეიდგან გვეცოდინება, რომ გეიდენი, სტახოვიჩი და ლვოვი ხულიგანების ბანაკში გადაბრძანებულან.

კაუცკის აზრი ქალთა საარჩევნო უფლებაზე.

საუკუნოების მონობამ ქალები ისეთ უნუგეშო მდგომარეობამდი მიიყვანა, რომ ბევრი სოციალისტებიც კი დიდ ეჭვის თვალით უყურებდენ ქალებისთვის საარჩევნო უფლების მინიჭებას. „დედაკაცი კონსერვატორია“,—გაიძახიან სოციალისტების ერთი ნაწილი ბელგიაში, გერმანიაში, ფრანციაში და ბევრგან სხვაგანაც, „მათთვის ხმის უფლების მიცემა არჩევნებზე ნიშნავს მოპოებულ პოზიციების სახიფათო პირობებში ჩაყენებას, რაიცა მღვდლების და სხვა ხულიგანური ელემენტების გავლენას გააძლიერებს“..

ამ გვარი შეხედულობის წინააღმდეგ აი რასა სწერს ამხანაგი კაუცკი:

ბურჟუაზიის უმთავრესი იარაღი პოლიტიკურ ბრძოლაში ფულია. ფულებით ის ყიდულობს ბეჭდვითი სიტყვას, კანდიდატებს, დეპუტატებს, და ხშირათ ამომრჩეველთაც. მას შეუძლია პოლიტიკურ ბრძოლაში თავისი წრის ქალების დაუხმარებლათ გამაგრდეს. პროლეტარიატის საქმე კი სულ სხვაა. მუშას არ შეუძლია თავის მაგიერათ ბრძოლაში ფულით დაქირავებული პიროვნება წამოაყენოს, მან თვითონ უნდა იბრძოლოს თავის საქმისთვის, მისი ბრძოლა კი მით უფრო ნაყოფიერია, რამდენათაც

ხაზერის შესახვევში. დაწვრილებით ცნობისთვის მიმართეთ პატრონს ... აბესაძეს, გეგუთის და ორპირის ქუჩის კუთხეში. ღვინის საწყობში. რომ კამარილიას არ სურს ხალ-

მისი შეგნება, ენერგია და სიმხნევე მაღლა დგას. პროლეტარ ქალების ამ ბრძოლისადმი დამოკიდებულებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს— ბრძოლის შედეგებზე რაც უნდა მხნე, შეგნებული, და ენერგიული არ უნდა იყოს მამაკაცი ბრძოლაში, მისი ენერგია სუსტდება ან უბრალოთ იხარჯება, როდესაც მას ოჯახში მეუღლე ფარულათ ან გულ-ახდილათ წინააღმდეგობას უწევს. სულ სხვაა, როდესაც ცოლი შეგნებულ ამხანაგათ გამოდის. გარდა იმისა, რომ ჩამომავლობას საშუალება ეძლევა სოციალისტური აღზრდა მიიღოს, და იგინი შეუმჩნეველათ იზრდებიან მომავალ ბრძოლის გმირებათ, მამაკაცს შეუძლია მთელი თავისი ძალღონე განმათავისუფლებელ ბრძოლას შესწირონ, როდესაც ცოლის მხრით წაქეზებას და დახმარებას ხედავს; დიახ დედაკაცი ხშირათ აქტიურ მონაწილეობას იღებს ბრძოლაში, და თავის მხნეობით და თავგანწირულებით მაგალითს აძლევს მამაკაცს. აი რისთვისაა საჭირო ქალთა შორის სოციალისტური პროპაგანდა. რომელიც პროლეტარიატის-კლასიურ ბრძოლას გამარჯვებით დააგვირგვინებს, ამ პროპაგანდას კი ისე არაფერი ხელს არ შეუწყობს, როგორც ქალებისადმი საარჩევნო უფლებების მინიჭება. რანაირათ უნდა დაინტერესდნენ დედაკაცები პოლიტიკით, როდესაც მათ ამ პოლიტიკაში ხმა არა აქვთ? რაფერ შეუძლიათ მამაკაცებს სოციალისტური პროპაგანდით დაინტერესონ დედაკაცები, როდესაც ის (სოც. პროპაგანდა) ამ უკანასკნელთ არავითარ ხელსაყრელ პოლიტიკურ შედეგებს არ უქადის? დედაკაცებს წილათ მხოლოთ ეკლესია და მღვდლის ქადაგება დარჩენიათ, იმ მღვდლის, რომელსაც თავი დედამიწაზე ღვთის წარმომადგენლათ და ხალხის მანუგეშებლათ მოაქვს.

ცხადია, ქალთა საარჩევნო უფლება შეძლებას აძლევს მღვდლებს რამდენიმე მანდატი იშოვნონ, მაგრამ ეს მხოლოთ იმის დამამტკიცებელია, თუ რამდენათ აუცილებელია ქალთა შორის ენერგიული სოციალისტური პროპაგანდის გაწევა, რომელსაც ყველაზე მეტათ ხელს შეუწყობს სწორეთ ქალთა საარჩევნო უფლება ის არა თუ მარტო მისგანვე გამოწვეული იარაღს არჩენს, გარდა ამისა ბორკილებიდან ანთავისუფლებს დიდებულ ძალას პროლეტარიატისადმი.

სანამ დედაკაცები საარჩევნო უფლებით არ სარგებლობენ, ბევრ ამ-ამხანაგს ქალებში სოციალისტური პროპაგანდა, გასართობ-მოვლენათ მიაჩნია, რომელსაც პარტია გადაჭარბებული ძალების დროს ეწევა; არ სთვლიან მას (პროპ.) აუცილებელ მოვალეობათ, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი, რაც უნდა დაგიჯდეს. დეე მარტო ქალებია საარჩევნო უფლების მინიჭებაზე იყოს დამოკიდებულ არჩევნების გამარჯვება ამა თუ იმ ოლქში,—ყოველი ამხანაგი, მიუხედავათ ამისა, რომ შეიძლება ის (ამხ.) ქალთა პოლიტიკურ საქმეებში ჩარეკას, ბურჟუაზიულათ უყურებდეს, მაინც მტკიცეთ ეცდება თავის ოჯახის წევრ ქალთა შორის სოციალიზმისადმი მისწრაფების გაღვივებას. შეიძლება ქალთა საარჩევნო უფლების მინიჭების გამო ჩვენ პირველ ხანებში რამოდენიმე საარჩევნო ოლქებიც დავკარგოთ, მიუხედავათ ამისა ქალთა საარჩევნო უფლება პროლეტარული არმიის საუკუნოთ გაძლიერებას და განმტკიცებას ნიშნავს. პოლიტიკურათ და ეკონომიურათ ქალთა და კაცთა გათანასწორება ერთი აუცილებელი თვისებაა სოციალიზმისა. კლასიური ბრძოლის პრაქტიკა გვაჩვენებს ჩვენ არა ამ პრინციპის ფარის ყოფას, არამედ, პირიქით, მის ენერგიულათ დაცვას. რევოლიუციონური პროლეტარიატის შეხვდულობით ამ შემთხვევაშიდაც პრინციპიალური პოლიტიკა შეიქნება გაკილებით მტკიცე და მიზნიან შესაფერ პოლიტიკათ".

(გაზ. ეხო.)

ახალი ამბები.

*** ს. გელავერიდან (ქუთაისის მაზრა) ჩამოსულმა ამხ. მუშამ მოიტანა ამბავი, რომ იქ შემდგარა ყაჩაღთა ბრბო ვილაც ნაციმბირალ „მესხის" და გიორხელიძის მეთაურობით, რომლებიც თავიანთ გამუდმებულ ცარცვა-გლეჯით სულიდან ხორცამდე ატყავებენ ხალხს. საჭიროა ამ გარემოების ვისაც ჯერ-არს ყურადღება მიაქციოს.

*** 14 ივლისს არქიელის გორაზედ განმეორებით ავიდენ კაზაკები, მაგრამ ზიანი არვისათვის არ მიუყენებიათ.

*** როგორც გავიგეთ, ბაღდათის ბოქაულს ქართველიშვილს სამსახურიდან ითხოვენ, მის ალაგს ნიშნავენ ნაოღალევის ბოქაულს ცნობილ დვალს მიზეზი ქართველიშვილს დათხოვნისა არ ვიცით.

*** როგორც ახალციხიდან ორმა ჩამოსულმა ჩალანდარმა გვიანბოლ, მათ დახდომია გზაში ვილაც ბოროტ გამზრახველნი და წაურთმევია ორივესთვის 11 მანეთი.

*** როგორც გაზეთი „ჩერ. ვესტნიკი" იუწყება, გუშინწინ დილის 12 საათზე, რუსეთის საზოგადოების კანტორაში, რომელიც იმყოფება მეხუთე ზღვის ნაპირის საპოლიციო ნაწილში, შევიდენ ოთხი უცნობი ბოროტგამზრახველნი რევოლვერებით და უბრძანეს მოსამსახურეებს: გაწოლილიყვენ, უკანასკნელმა ასტეხეს განგაში, რის გამო ბოროტგამზრახველნი გამოცვინდნენ კანტორიდგან ეზოში და მიიმალენ.

*** როგორც იგივე გაზეთი გადმოგვცემს, მეოთხე საპოლიციო ნაწილში გამოცხადებულა დ. ხონის მცხოვრები, სიმონა სოსელია და განუცხადებია ბოქაულ ჩხიკვაძეთვის, რომ ის ერთი თვეა რაც გამოპარული ყოფილა ნოვოროსიის ადგილობრივ კომანდიდგან და ითხოვა უკანვე ჯარში გაგზავნა, რაც უკვე სისრულეში იქნა მოყვანილი.

*** დღეს, 15 ივლისს ქალაქის ბაღში ორ მუშას დასძინებოდა, რომლებიც შენიშნა გორადოვიმ (ოსი უნდა იყოს); მივიდა და უბრალოთ ცემა დაუწყო მათ, გარდა გორადოვისა, პატრულებიც სცემდენ საცოდავთ და ისე მიათრევდენ საპოლიციო ნაწილში

ნეტავი ვიცოდეთ, ვინ მიანიჭა ამ ვაჟბატონთ უბრალოთ ცემის უფლება? საჯურველია, ყურადღება მიაქციონ ამ გაბოროტებას ვისაც ჯერ არს.

კავკასია.

— **სოციალ-თანამართა შეტაკება.** კიდევ და კიდევ დაიწყო უაზრო ჟლეტა-ხოცვა სომხებსა და თათრებს შორის. 12 ივლისს ბრძოლა დაწყებულა შუშასა და ერევანში. შუშაში შუადღისას ატეხილა საშინელი სროლა. შედეგი არ იციან. ერევანში დილის ათ საათზე დაწყებულა სროლა თათრებსა და სომხებს შორის. მოუკლავთ ერთი მაჰმადიანი, დაუჭრიათ ოთხი კაცი, აქედან ორი მაჰმადიანია.

— როგორც „ახ. ცხ." გადმოგვცემს, 13 ივლისს პოლიციელებს ალყა შემოუტყამთ გრიბოედოვის ქუჩაზე მე 6-ე ნომერი სახლისთვის, მაგრამ ვერაფერი უპოვნიათ. სხვათა შორის კითხულობდენ თურმე **ელისო ლომანაძეს.**

გაზეთ „სხივის" საქმე. 13 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლოს გაურჩევია გაზ. „სხივის" რედაქტორ-გამომცემლის, ამხ. ვლადიმირ ახმეტელაშვილის საქმე სასამართლოს დამნაშავეთ უცნია ბრალდებული და მიუსაჯა 50 მან. დაჯარიმება; თუ ჯარიმის გადახდას ვერ შეძლებს 10 დღით ციხეში დააპატიმრებენ.

— **დუელის მსხვერპლი.** საერო დღესასწაულის წინა დღეს საფრანგეთში რამდენიმე დუელი მოხდა. მარტო პაიზის მიდამოებში და თვით შიგ პარიზში ცხრა დუელი მომხდარა. პირველი მსხვერპლი დუელისა ამ დღეს გახდა ერთი ჩვენებური, ქართველი ქორქია, რომელმაც ამ წელს პეტერბურგის უნივერსიტეტი გაათავა. იგი სასიკვდილოთ დაუჭრია 13 ივლისს (ახ. სტ.) დილით ვერსალის ტყეში საფრანგეთის ჯარის ერთ აფიცერს. დუელის მიზეზს გაზეთები არ გადმოგვცემენ. (შრ.).

— **ფასების აწევა.** ლუდის ქარხნების მუშების გაფიცვა უკვე გათავდა და ეს ხუთი დღეა მუშაობას შეუდგნენ. ლუდის ქარხნების პატრონებმა დააკმაყოფილეს მუშების მოთხოვნილება, მხოლოდ ლუდის ფასები ასწიეს, ასე რომ იმათ არა წაგებულ-რა და ისევ ხალხმა იზარალა. მოუმატეს ვედრაზედ 15 კაპეიკი და თითო ბოთლზედ 1 კაპეიკი. ამის შემდეგ ბრძანება გამოვიდა, რომ რესტორანებმა, სასტუმროებმა და ლუდხანებმა ლუდი აღარ გაჰყიდონ, ვიდრე ლუდის ქარხნების პატრონები ისევ ძველ ფასებში არ დაუთმობენ ლუდს. გუშინწინ ტფილისში აქაური ლუდი აღარ იყიდებოდა.

— **სესხის გაცემა.** ტფ. საერთაშორისო ბანკი მუშაობენ ... ...

უდიერათ ეპყრობა ასამდე მოსამსახურე ადამიანთ და მოსვენებას არ აძლევს თავისი სულელური განკარგულებით.

—ლი.

პროვინცია.

სვანეთი. ამას წინათ შიშკევიჩმა დეპუტაცია დაიბარა ზემო სვანეთიდან; თავისუფალ სვანეთში თითო საზოგადოებიდან გამოირჩიეს ოთხ-ოთხი კაცი და შვიდი საზოგადოების დეპუტაცია 1 ამ თვეს გამოემგზავრენ ქვემო სვანეთისაკენ, სადაც ამ ჟამად იმყოფება შიშკევიჩი დეპუტაციის რიცხვში არიან აგრეთვე ადგილობრივი მღვდლები—დარისპან მარგიანი და ბესარიონ ნიჟარაძე. ამ დეპუტატებმა შემდეგი დადგენილება გამოიტანეს შიშკევიჩის მოსახსენებლათ: იარაღის შესახებ უთხრეს, რომ იარაღი ვითომ თავისუფალ სვანეთში არავის ქონდეს და რა უნდა მოგცეთ რაც არა გვაქსო. „სალდათს“ მოგცემთ იმ პირობით, რომ კავკასიას არ გააცილოთ და აქ დაარჩინოთ სამსახურში, რადგან სხვა ქვეყნის პური არ უხდებათ და უმეტესი ნაწილი იქ კვდებაო. გადასახადს (რომელიც შეადგენს 1 მ. 20 კ.) მივცემთ; მეთაურები ჩვენ არ გვყოლია არავინ და არც მომხდარა რამ ჩვენში მთავრობის საწინააღმდეგო მანამდის სანამ თ. გარდაფხაძეები, რომლებიც ქვემო სვანეთიდან განდევნილ იქმნენ და არ მოვიდენ ზემო სვანეთშიო. დიახ, ისინი მოვიდენ ზემო სვანეთში, რამოდენიმე კაკი შეიფიცეს ერდგულობაზე და ამან აგვაღელვა ჩვენ. ჩვენც მათის საწინააღმდეგოთ ერთობაზე დავიფიცეთო. რა პასუხს მიიღებდენ ამაებზე შიშკევიჩისაგან და როგორ შერიგდებიან არ ვიცით; ამას ვეცდები შემდეგში გაცნობოთ.

დეპუტაცია მოდის აგრეთვე სადადეშკელიანო სვანეთიდან, მაგრამ როგორც გავიგე საეჭვოა თურმე, რომ მორიგება მოხვდეს სადადეშკელიანო სვანებსა და შიშკევიჩის შორის და სვანები ძლიერ მზადებაში არიან თურმე იარაღი როგორც დანამდვილებით გავიგე, არც ერთ საზოგადოებაში არ დაუყრიათ ხალხს.

სოფელ ჩოლურში დაუტუსაღებიათ სამი კაცი: გიორგი მუკრანიანი, ანდრია ხაბულიანი და (მესამეს გვარი და სახელი არ ვიცი). სოფელ ლაშხეთშიც დაუტუსაღებიათ რამოდენიმე კაცი, მაგრამ ამბობენ: ყველას თავდებ ქვეშანთავისუფლებენო; ამავე სოფელში ორ გადავარდნილ წითელ რაზმელს სახლ-კარი დაუწვეს ციხები ზარბაზნებით დაანგრიეს თურმე. ასე რომ ჯერ-ჯერობით კიდევ ძნელი სათქმელია, მოხდება თუ არა შეტაკება ჯარსა და ხალხს შორის. იარაღზე და მებატონეების დაკმაყოფილებაზე აშკარაა ვარს ამბობენ თურმე. ის ხმა, რომ ჯარსა და თავადებს უკმაყოფილება მოუვიდათ ერთმანეთშიო—გამართლდა და თავადები არ ეკარებიან სულ ჯარს. ჯარის კაცები ზემო სვანეთში წასვლის შესახებ კიდევ პროტესტს აცხადებენ თურმე.

ეგნატე სვანი.

სამტრედია. პარასკევს, 14 ივლისს მოხთა სამტრედიის რაიონის რ. ს.-დ. მ. პ. წევრების კრება. დაესწრო სულ 198 წევრი. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები:

1) ნაციონალური საკითხი.
2) ტერიტორიალური ავტონომია.
3) დღევანდელი პოლიტიკური მომენტი და ჩვენი ტაკტიკა.
4) აგრარული საკითხი.
5) საკითხი ერთ ამხანაგის შესახებ.
6) კავკასიის სიეზდზე დელეგატის ხელ-ახლათ არჩევანი.

კრება დაიწყო დილის 10 საათზე და გათავდა საღამოს. მოასწრეს გარჩევა მხოლოთ ორი საკითხის 1 ⁄ 2.

დიდ ხანს მოუნდნენ ნაციონალურ საკითხი აქ პირველათ იყო დაყენებული საკითხი ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიის შესახებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ის მიღებულ იქნა 111 ხმით 87 წინააღმდეგ. არა ნაკლები დრო ტერიტორიალურ-ავტონომიის საკითხმა მოინდომა. მაგრამ, რადგან ეგ საკითხი დიდათ სერიოზულათ მიიმჩნიეს და როგორც კამათის დროს გამოირკვა, მის გადასაჭრელათ საჭიროა სტატისტიკური ცნობები ამიერკავკასიის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ,—გადაწყდა მიეცეს წინადადება სიეზდს, რომ მან დაავალოს პარტიულ ორგანოს ამ კითხვის დაწვრილებით გარჩევა.

რუსეთი

ის ევროპა, რომელიც აქამდე რევოლიუციონერების თავ შესაფარ ქვეყანათ ითვლებოდა, დღეს, როდესაც რუსეთში რევოლიუციონურმა ტალღამ ძალიან მაღლა აიწია, რეაქციონურ და მსხვილი ბურჟუაზიის ფთხილი ელემენტების საბუდრათ გადაიქცა როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ წასულ ერთი კვირის განმავლობაში პეტერბურგიდან სამზღვარ გარეთ 200-მდე ემიგრანტი გასულა-უმთავრესათ მაღალი სამხედრო და სასახლის წრეებიდან. დურნოვო და ვიტე უკვე კარგი ხანია მას აქერ, რაც რუსეთიდან გაიპარნენ. ეს დეკემბრის რეაქციის გმირები, ამას წინეთ ჟენევაში ერთათ შეყრილან, ახალი სამინისტროს შედგენის შესახებ ჰქონიათ მსჯელობა. თავიანთი აზრი პეტერბურგის სასახლეში მათ საიდუმლო შიფრის საშუალებით უცნობებიათ... თავის-თავათ ცხადია, რომ ერთ დროს ლიბერალათ ცნობილი ვიტე, ეხლა ტრეპოვსაც გადააჭარბებს რეაქციონორობაში, ვინაიდან თავს ევროპაში თავისუფლათ გრძნობს და რუსეთის რევოლიუციის შურის ძიებას პირის-პირ არ უდგას.

* * *

როგორც ტელეგრამები იტყობინებიან, ადმინისტრაციას შეუჩერებია გაზეთები „სტრანა“, „ნაშა-ჟიზნი“, „მისლი“, „ეხო“, „გოლოს ტრუდა“, „კრესტიანსკი დეპუტატი“ და „სევერნაია ზემლია“. დაუხურავთ აგრეთვე კადეტების და მშრომელთა ჯგუფის კლუბები. კლუბები კიდევაც გაუჩხრეკიათ, მარა ვერაფერი უნახავთ. რკინის გზებზე ყოველგან ენერგიული ზომებია მიღებული გაფიცვის წინააღმდეგ. ყველა დაწესებულებების უფროსები „ოტპუსკებიდან“ გამოიწვიეს და სხვ.... როგორც ეტყობა, კამარილა სახუმროთ არ ემზადება რევოლიუციის დასამარცხებლათ, მაგრამ ამაოთ. მთავრობისგან დაგებულ ანკესზე ასე ადვილათ აღარ წამოეგება რევოლიუციონური ხალხი...

* * *

გაზეთ „მისლის“ დახურვის გამო „პუტი“ შემდეგს გალმოგვცემს: პოლიციისგან დაბეჭდილ „მისლის“ სტამბაში მეორე დღეს საღამოზე მისულან ასოთ-ამწყობნი, აუგლეჯიათ პოლიციის ბეჭედი-შეუმტვრევიათ კარები და შედგომიან მორიგ ნომრის აწყობას. ეს ამბავი პოლიციისთვის უცნობებიათ. სტამბაში მისულა ბოქაული სტეტკოვსკი 75 გარადავოით და მუშებისთვის უთქვამს: ყველას დაგატუსაღებთო. ასოთ-ამწყობებს მოუთხოვიათ გვაჩვენე მოწერილობა თუ გაქვს ვისგანმე ამგვარი მოქმედებისთვისო. სტეტკოვსკის უარი განუცხადებია და გაზეთის თანამშრომლების ოთახებში გარადავოები ჩაუყენებია. გარადავოები ძალით ერეკებოდენ თურმე ჟურნალისტებს კარში. როდესაც ერთი მათგანი ჩერნოვი (ბიკტორ ჩერნოვის ძმა) გამოუყვანიათ გარადავოებს, მუშები დასევიან და გაუნთავისუფლებიათ. ჩერნოვს ამ შემთხვევით არ მოუსურვებია სარგებლობა და პოლიციელებს თან გაყოლია ამის შემდეგ მოსულა გაზეთ „მისლის“ რედაქტორ გამომცემელი-წევრი სახელმწიფო სათათბიროსი სოლომკო. სოლომკოსა და სტეტკოვსკის შორის სიტყვიერი შეტაკება მომხდარა. დაბოლოს სოლომკოს მურომცევი კი გამოუწვევია ამ მმბის გამო დიდ ძალი ხალხი შეკრებილა. პოლიციელებსა და ხალხს შორის შეტაკება მომხდარა 2 გარადავოი და ერთი ბოქაულის თანაშემწე ძალზე დაუბრეგიათ. რედაქციის წინ ქუჩა კაზაკებსა და დრაგუნებს დაუკავებიათ გაზეთ „პუტის“-ათვის ამბავი ტელეფონით გადაუციათ ღამის ორ საათზე. ამის შემდეგ ტელეფონში ლაპარაკი შეუწყვეტიათ და გაზეთს ველარ შეუტყვია რითი გათავდა ინციდენტი.

* * *

ამას წინეთ მოსკოვში გათავებულა სიეზდი რკინის გზის მოსამსახურეთა, გლეხთა და ფოსტა-ტელეგფის დელეგატებისა. სიეზდს დასწრებიან აგრეთვე სხვა პროფესიონალური კავშირებისა და სამი რევოლიუციონური ორგანიზაციის წარმომადგენელნი. სიეზდის დიდ უმრავლესობას ის აზრი გამოუთქვამს, რომ თუმცა სახელმწიფო სათათბირო ხალხის ნამდვილ ინტერესებს ვერ დააკმაყოფილებს, მიუხედავათ ამისა, თუ მთავრობა მის წინააღმდეგ ძალმომრეობას მიმართავს, დუმას მხარი უნდა დავუჭიროთ. საერთო შეიდმიანი გაფიცვის ვამბახი ... რუსეთში. გადაუწყვეტიათ სიეზდის დადგენილება ყველა ორგანიზაციებს დაურიგონ. საერთო საქმის სახელმძღვანელოთ სიეზდს აურჩევია მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელიც მოსკოვში დარჩება. სიეზდს დასწრებია 500-მდე დელეგატი.

* * *

ვინც ჟურნალ-გაზეთებს ცოტათი მაინც თვალ-ყურს ადევნებს, მათთვის ცხადზე-უცხადესია, რომ დღეს რუსეთში არ დარჩენილა მგონი არც ერთი გუბერნია სადაც აგრარულ მოძრაობას თავი არ ეჩინოს. რასაკვირველია, ზოგან ამ მოძრაობამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, ზოგან კი „გონიერმა“ მემამულეებმა თავიდანვე დაუთმეს გლეხებს და თავიდან აიცილეს მათი რისხვა. მხოლოთ ერთი-რამ უნდა აღვნიშნოთ, სახელდობრ ისა, რომ ყოველგან გლეხები პირველათ მისულ „პროპაგანდისტს“, (რომელსაც ისინი „სმუტიანს“ უწოდებდენ), რომელიც მათ წინააღმდეგ ამხედრება და გაფიცვას ურჩევდა, ძალიან ეჭვის თვალით უყურებდენ—,ეშინოდათ მემამულეები რომ გავაჯავროთ, ვაი თუ უკანასკნელი ლუკმა პურიც დავკარგოთო გავიდა ხანი, როდესაც ერთმა სოფელმა გაბედა გაფიცვის მოხდენა და გაიმარჯვა—ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ მაზრებს და სოფლებს. დაიწყეს ყველგან გაფიცვები· შარშან თუ გლეხები 70 კაპეიკს იღებდენ და მათი ცოლები 30—40 კ-ს დღეს გლეხები—2 მ. 50 კ-საც აღარ ჯერდებიან—მათი ცოლები (ფოცხით მომუშავენი) დღეში—80—90 კ-ს იღებენ. ეხლა კი დიდის სიხარულით ეგებებიან „სმუტიანებს“ და ერთი სოფლიდან მეორეში პატიჟობენ „საქადაგებლათ“.

წერილი რედაქციის მიმართ

პრესის თუ კერძო პირთა საშვალებით ხშირათ გვსმენია, რომ ავათმყოფთათვის ჯანმრთელობის დასაბრუნებლათ აბასთუმანი ითვლება ყოველისმხრით საუკეთესოთ მოწყობილ აგარაკათო და სწორეთ ამ გარემოებამ და მასთან ექიმების რჩევაზე დამყარებამ გვეყო დაიმედებული, რომ აღთქმული კუთხის მიდამოში მიგვეყანა ჩვენი ავათმყოფი. ორი დღის მოგზაურობის შემდეგ მიზანს მივაღწიეთ, ე. ი. 29 მაისის რიცხვს, საღამოის 7 საათზე მივედით აბასთუმანს და რადგანაც უცბათ კერძო ბინის დაჭერა მოუხერხებლათ მიგვაჩნდა, მეეტლემ შეგვაჩერა მირაკოვის სასტუმროს წინ, სადაც დაგვხვდნენ სასტუმროს მუშაკნი, რომლებმაც ნომრის არჩევისათანავე სისწრაფით დახმარება გაგვიწიეს ოთახში ბარგის შელაგებაზე და უკანასკნელათ, როცა ერთმა მათგანმა ავათმყოფის გადმოსაყვანათ სკამის მოტანა დააპირა, ამ დროს მას მრისხანე სახის გამომეტყველებით წ-ნ გადაეღობა ერთი რგგალათ ჩასუქებული მოხუცი კაცი და მისთვის დაბალ ღობეთ ცნობილ პიროვნებას ტუქსვა დაუწყო-რისშემდეგაც უკან გამობრუნებულმა მუშამა დარცხვენით გვითხრა: „ხაზეინი ნომერში ავათმყოფის გადმოყვანის ნებას არ იძლევაო“. ჩვენგნით უკვე დაკავებულ ოთახში შესვლის აკრძალვით იძულებულმა, სასტუმროს პატრონისაგან მ ოვითხოვეთ უწესრიგო დაბრკოლების ახ

ხაბერის შესახვევში. დაწვრილებით ცნობისთვის ძიძართეთ აატროლის ... აბესაძეს, გეგუთის და ორპირის ქუჩის კუთხეში. ღვინის საწყობში. | რომ კამარილიას არ სურს ხალ-

სნა, მაგრამ მან, ნაცვლად ჩვენი საფუ ვ-ლიანი წინადადების სისრულეში მოყვანისა, სრულიათ უადგილოთ, „დიდ-ყურიან“ პი-რუტყვივით ღრთო ღრიალი: სასტუმრო ჩემი საკუთრებაა (თითქოს ჩვენ კი ვარ-თმევდით), მე ავათმყოფებს არ ვღებულობ, სასტუმროები სხვაც ბევრია, იქ შეგიძლია ნომრის შოვნაო და ამავე დროს, ჩვენი მასთან მიყვანისათვის მეეტლესაც წყრომა-ლანძღვა შესძლვნა...

მწვავე შედეგის ასაცდენ მოსაზრებამ გაგვაშორა ამ ხანგრძლივი წლების მიმდი-ნარეობით,—უვიც მშრომელთა პარცვა-კრეჭით ქონებრივათ ძალზე განდიდებულს, უზნეობის ჭურჭელს ამ მოსაზრებით, რომ მგზავრს უეთიკო საქციელს არსად წავაწ-ყდებოდით, მაგრამ სინამდვილემ მირაკო-ვისებური უადგილო პრეტენზიით გაუქლენ-თილი „меблированные номера“-ს პა-ტრონი, ვინმე ნაზარეტოვი დაგვისახა!—მიუხედავათ ამისა, რომ ნაზარეტოვის ვითომ-ღა სასტუმრო, თვისი უვარგისი ოთახებით, ანტისანიტარული დაცვით—სასტუმროისა მეტს ყველაფერსა გავს,—აქაც ცნობილის მიზეზით ვართ გვითხრეს ნომრის მოცემა-ზე...

ღამდება, წვიმა დაიწყო, სასტუმროებისა-გან ვარყოფილნი ვიჭერთ კერძო ბინას და სუსხიან სიცივეში—გარეშე ავათმყოფისა, პაწაწა რჩვილს და სამ სულ ადამიანს უქვეშსაგებ-სახურავოთ გვიხდება ღამის გა-თევა, რადგანაც ამაებს კერძო ბინის პატ-რონები არ იძლევიან და გზიდან საკუთრების მოვლენას მეორე დღემდის მოკლებული ვიყავით.

ამ გვარი განსაცდელი არ შეგვხვედრია ბორჯომის სასტუმროში ღამის გათევის დროს,—არც ვფიქრობთ: სადმე, რომელიმე სასტუმროს მეპატრონემ იხელმძღვანელოს მირაკოვ-ნაზარეტოვების უმგვანო საქცი-ელით და ისიც ისეთ ფარგალში, სადაც მიმსვლელებთაგან ჯანმრთელებზე უფრო მეტ ნაწილს ავათმყოფებს ვხედავთ.

სანამ აღნიშნულ პირთა ვერაგულ მოქ-მედება სადგილი აქვს აბასთუმანში ყოველის-მხრით კარგათ მოწყობილ კურორტათ არა თუ ვერ მივიჩნევთ. წინააღმდეგ, აქეთ წამომსვლელთა საგულისხმოთ ვიტყვით: ბინის წინასწარ აუკლოველათ აბასთუმანში ავათმყოფის წამოყვანა სახიფათოა.

ივანე კილაძე.

ბ. რედაქტორო გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის უმახლობელეს №-ში, ჩემს წერილს, რომ ჩემი ხმა მიაწვდინო ვისდამიც ჯერ არის.

24 იანვარს გასულ წელს, ღამის სამ საათზე თავს დამეცენ მმინარეს ხუთი შეიარაღებული კაზაკები, თუ რამ გამაჩნდა წამართვეს, მე თოფით დამ-ჭრეს სასიკვდილოთ და თვითონ არხე-ინათ წავიდნენ. იმ დღიდან დღემდის ქმობამ თუ უსაქმობა მეტათ შემასუსტა, ძლივს სულს ვღაფავდი. წასულ შაბათს, რვა ივლისს ღამით ორ საათზე მომი-ხტენ ისევ სახლში მძინარეს ხუთი შეიარაღებული კაზაკი კარების გაღება მიბრძანეს, მე ცოლშვილი გავაღვიძე; რომლებმაც კივილი მორთეს იმ იმედით, რომ მეზობლები მოგვეშველებიანო, მა-გრამ ლაჩარი მეზობლები სოროებში შეძვრნენ; რა დაინახეს კაზაკებმა; რომ მეზობლებმა ვერ მობედეს მოიტანეს იერიში; ჩამიმტვრიეს კარ-ფანჯრები, შემოცვივნდნენ მხეცებივით, გამომგლიჯეს ბავშვი ხელიდან რომელიც იქ მდგომ გამწარებულ დედას გლეჯდნენ, მე-კი დამიჭირეს და რკინის მთარსხებით იქამ-დის მცემეს, სანამ სასიკვდილოთ არ მიმაქციეს. შემდეგ-კი არხეინად წავი-დნენ. მეზობლებმა საადგურზე ჩამიყვანეს და იქიდან მომაკვდავი ბ. რაზუაიჩის და ბაქრაძის სააავათმყოფოში დამაწვინეს იმდენი სახსარი არა მაქვს, რომ აქ დავ-რჩე მორჩენამდე,—გამოვიდე სად წავიდე ისიც არ ვიცი, რა ეშველება ჩემს აწიოკებულ ცოლ-შვილს არ ვიცი რის-თვის მსჯიან! ბევრი დანაშაულობა გამი-გონია, მაგრამ საქმის გაურჩევლათ. მე-კი ისე უხმოთ მკლავენ, უდანაშაულო კაცს. დღეს სანამ სააავადმყოფოდან ძა-ლათ არ გამომაგდებენ, მე შიშით ვერ გამოვდივარ. ვსთხოვ ქუთაისის ადმინის-ტრაციას ანუ ვისაც ჯერ-არს მიაქციონ ჩემს უკიდურეს გაჭივრებას ყურადღება, გამოიძიონ ჩემი საქმე დაჩქარებით, თუ დამნაშავე აღმოვჩნდები მზათ ვარ წამე-ბისათვის, თუ არა და დამიფარონ ამ აკაზაკური მოქმედებიდან. დამნაშავე თვით კაზაკები არიან და ადვილათ შეუძლიათ მათი პოვნა, რადგან არც ერთს კაზაკს არა აქვს ღამით ქუჩაში გასვლის უფ-ლება.

ქუთ. მოქ. ი. ხეთერელი.

დეპეშები.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14—15 ივლისი.

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა სა-მინისტროს საბჭოს წევრი სერგეევი დაინიშნა ელჩად სერბიის კოროლ-თან. გამგეს მის უდიდებულესობის ფინლიანდიის კანცელარიისას სუდე-იკინს ებოძა. სენატორობა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო ქალაქის თვითმართველობას დახარ-ჯოს 50,000 მან., რათა გამონახოს უსაქმოთ დარჩენილთათვის სამუშაო. და 35,000 მან უფასო სასადილოების და ბინების მოწყობისათვის ამ ზაფ-ხულის განმავლობაში.

ვარშავა. დღეს 4 შეიარაღებული ბოროტ გამზრახველი დახვდა ივან გოროდიდგან ვარშავაში მომავალ მატარებელს. „ბლანკარდ“ ვაგონით ვარშავაში მოჰქონდათ სადგურები-დგან მონაბოჰი ფულები. ბოროტ გამზრახველნი შემოერტყენ ორთქლ-მავალს და „ბლანკარდ“ ვაგონს, მოკლეს ჟანდარმი მაშჩენკო, გას-ტეხეს ყუთები, გაიტაცეს 15000 მ. და მიმალნენ ტყეში. ვარშავიდგან გამოიწვიეს ორთქლმავალი, რომლი-თაც მიიყვანეს მატარებელი სადგურ-ზე.

კოვნო. ქალაქის მახლობლად სოფ-ელ ალექსოტეში დაატუსაღეს ორი ბომბის მკეთებელი; აღმოაჩინეს რა-მოდენიმე ყუმბარა.

ორიოლი. სოფელ ბუნინში (ბო-ლეხოვის მაზრა) ბეიერის მამულიდ-გან გლეხებმა გასწიკეს ბეღლებიდ-გან პური, ქერი და დაემუქრნენ სულ აკლებას. გაიგზავნა დრაგუნები. მოთავეებს ატუსაღებენ.

უმანი. გოშევსკის ვოლოსტის გლეხებმა (ლიპოვეცკის მაზრა:) უა-რი განაცხადეს მიწის მოწესრიგების კომისიაში წევრების გაგზავნაზე.

ბრესტლიტოვსკი. საპყრობილეში მოიყვანეს დატუსაღებული სახელ-მწიფო სათათბიროს წევრი გროდ-ნის გუბერნიიდგან კონდრაშჩუკი, რომელიც დაუტუსაღებიათ დრაგუ-ნების და საერობო დარაჯთა შემ-წეობით.

მიტავა. ფრიდრიხ შტამის მაზრა-ში მოახდინეს პოლიტიკური მკვლე-ლობა. რამოდენიმე შეიარაღებულმა კაცმა შევიდა გლეხის შტეინის სა-ხლში და იქვე მოკლეს ის.

პეტერბურგი. მთავრობას განუზ-რახავს, გახსნას 15 სამასწავლებლო საქალებო სემინარია.

პლოცკი. გაიფიცნენ მეეზოვენი, მოთხოვნილება ეკონომიურია.

ბორისოვი. სპიჩკის ფაბრიკების მომუშავეთ ფაბრიკანტებმა დაუკმა-ყოფილეს მოთხოვნილებანი. მუშები ეხლა ადგენენ პროფესიანალურ კავ-შირებს.

პეტერბურგი. გაზეთ „ობრივის“ მაგიერ გამოვიდა „ნაროდი“, რო-მელიც მაშინვე დაჭირეს. გაზეთ „სტრანას“ მაგიერ გამოვიდა „რა-ვენსტვო“.

ნოვოჩერკასკი. (sic) **ნოვობოაზეთი.** პოლიციამ აღ-მოაჩინა მოკლულ სომხების დასახიჩ-რებული გვამები. გამოძიება სწარ-მოებს.

პიატიგორსკი. პიატიგორსკის მა-ხლობლად ტორმუზების გაფუჭების გამო. შეეჯახენ ერთმანეთს ორი მა-ტარებელი, ორი ვაგონი სულ დაი-მსხვრა. ორი კაცი გაისრისა, მძიმეთ დაშავდა სამი და მსუბუქად—რვა.

მოსკოვი. დამთავრდა გაფიცვები. მეპურეების; დაიჭირეს „რუსკია ვე-დომოსტის“ ნომრები სახელმწიფო სათათბიროს წევრთა შედგენილ ხალხისადმი მოწოდების დაბეჭდისა-თვის.

კიევი. პოლიციამ დაატუსაღა მა-ტროსი გოლენკო, რომელსაც აბრა-ლებენ სევასტაპოლის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებას.

იუზოვკა. მუშებმა ვარი მიიღეს გაფიცვების დროს გაცდენილ დღე-ების საფასის მიღებაზე; ამის გამო აღელდნენ, შეანტვრიეს ფანჯრები და კარები ინჟენერის ბინაზე, ინჟე-ნერმა გაქცევით უშველა თავს. მო-სულმა კაზაკებმა შეაჩერეს არეუ-ლობა.

პეტერბურგი. რკინის გზებზე არ-სდება საუბნო კომიტეტები რკინის გზებზე ბარგის გადატან გადმოტა-ნის მოსაწესრიგებლათ აზრათ აქვთ დაარსონ შემდეგი ათი ესეთი კო-მიტეტები: ვარშავაში, კიევში, ხარ-კოვში კაზლოვში ვილნაში მოსკოვ-ში, პერმში, ციმბირშიდ ირკუტსკში, ტაშკენტში და კავკასიაში.

ბაქო. გზათა მინისტრის უკანას-კნელ ცნობებით რკინის გზებზე დარჩენილ გადაუტანელ ბარგის რა-ოდენობა ამ ჟამად 30,000 ვაგო-ნამდეა ამ რიცხვში ყაზანის გზაზე დარჩენილი 17000 ვაგონი ხეტყეც შედის.

გროდნო. სოფელ პერელევში ბელსკის მაზრაში ოთხმა შეიარაღე-ბულმა ბოროტ გამზრახველებმა გა-ცარცვეს სახაზინო ღვინის დუქანი.

კიევი. რადგან გავრცელდა ხმები მოსალოდნელი „პოგრომის“ შესა-ხებ, ვაჭართა საზოგადოებამ კრება მოახდინა, რომელმაც იმ დასკვნას დაადგა, რომ ვინაიდგან „პოგრომე-ბი“ და ვაჭართა ყოფაცხოვრების განადგურება დღითი-დღე პროგრე-სიულათ მატულობს, ამის გამო ამოირჩიონ ხუთი კომისია მომხდარ „პოგრომების“ მიზეზთა გამოსარ-კვევათ და მოსალოდნელ „პაგრო-მების“ თავიდგან ასაცილებლათ.

პეტერბურგი. პოლტავის მაზრაში მოლდავისკის ფუძეში გაანადგურეს სამხედრო სურსათის მაღაზია; გაა-ნადგურეს ეგრეთვე ლივინცის სახლი, დაიწვა პურითა და ქერით სავსე ტომრები და ორთქლით მცეხავი; ზარალი 10,000 მან. აღემატება; ბოროტ გამზრახველნი ვერ აღმოა-ჩინეს.

მოსკოვი. ვიღაც უცნობმა დას-ჰრა, საყარეულოზე მდგომი, გორო-დოვოი—მაქსიმოვი და მიიმალა

ხარბინი. ანდის სადგურის ახლოს, წვიმებმა გააფუჭეს გზა ნიაღვარმა მოგლიჯა ხიდის ბოძები. მატარე-ბელთა პირდაპირი მიმოსვლა შეს-წყდა. დროებით, მიმოსვლა ორი მატარებლის (ხიდს გაღმა-გამოღმა) საშვალებით არსებობს მგზავრე-ბი ხიდზედ ფეხით გადიან.

პეტერბურგი, პირველ ივლისიდ-გან დაიწყო წესიერი მიმოსვლა მთელ ბოგოსლავის რკინის გზებზე და ამ რკინის გზის ტოტებზე.

ომსკი. გაზ, „სტეპნოი გოლოსი“ დახურეს სამხედრო წესების მოხ-სნამდის.

მიტავა. ამას წინეთ დატყვევებუ-ლი ლატინგპურინს, რომელსაც ხუ-თი პოლიტიკური მკვლელობის ჩა-დენა ბრალდებოდა, მიუსაჯეს ჩამოღ-რჩობა; დაჭერის დროს ლატინგპუ-რინმა 500 მანეთი შეაძლია და-რაჯს განთავისუფლებისათვის.

ტულა. დააკავეს სათათბიროს დე-პუტატების მიერ გამოცემულ მო-წოდების დაბეჭვდისათვის გაზეთი „ტულ. ჟიზნი“. და ის სტამბა, სადაც გაზეთი იბეჭდებოდა, დაკეტეს.

იაროსლავი. ღამით იმ სტამბაში, სადაც გაზ. „სევერიანინი“ იბეჭდე-ბა შევიდნენ 12 რევოლვერებით შე-იარაღებული კაცი, რომლებმაც ააწ-ყობინეს და დაბეჭდინეს და წაიღეს 5000 ცალი ყოფილ სათათბიროს წევრთა მიერ გამოცემული მანიფეს-ტი. სოციალ-დემოკრატიული პარ-ტიის პროკლამაციები და მიიმალნენ.

ელისავეტპოლი. შუშაში მთელი, გუშინდელი დღე საშინელი თოფის სროლა იყო თათრებსა და სომხებს შორის. მონაწილეობას ჯარიც იღებ-და.

ვილნო. გენერალ-გუბერნატორმა დააჯარიმა 200 მან. გაზ. „სვობ. სლოვოს“ რედაქცია ვითომდა, ცრუ ცნობების გავრცელებისთვის, რომ-ლებიც მღელვარებას იწვევდნენ მცხოვ-რებთა შორის.

რედაქტორ-გამომცემელი
ალ. გ. რუხაძე.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა · კილაძისა და ი. ხელაძისა—ქუთაისში.

გადაუწყვეტელ „განმახრახ თავიანთი ხისტები გენერალ მინის სისხლში“ ასტეხეს სროლა; ზოგი, ტყვია გენ. გუბერნ. გოლოშჩაპოვის სახლსაც ვიდგან მოსულ ყაზახების საშუალე-ბით სოფელ ჟერებენში აგრარული

რედაქტორ-გამომცემელი
ალ. გ. რუხაძე.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა · კილაძისა და ი. ხელაძისა—ქუთაისში.